

ზიზილ ზაბაზვილი

კომპონილბითი კომპოზიტივის მართლწერილობის

კომპოზიტები ქართულში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. მათ სხვადასხვა ნაშრომში განიხილავენ ან ცალკეულ ნაშრომებს უძღვნიან: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, ა. კიზირია, მზ. მრეველიშვილი და სხვები¹.

ქართულში გვაქვს კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი ზედსართავი ან მიმღობაა და რომლებიც შესიტყვებაში მსაზღვრელად გვევლინება. ასეთი კომპოზიტის პირველი ნაწილი შეიძლება იყოს ზედსართავი სახელის ან მიმღობის, არსებითი ან რიცხვითი სახელის ფუძე: მოკლესახელოებიანი, შავსათვალიანი, მადალქუსლიანი, მონატულგულისპირიანი, მჭრელპირიანი... თვალეზანთებული, ხელეზაკაპიწებული... ორადგილიანი, რვასათიანი, მეოთხეკურსელი, მეცხრეკლასელი...

ქართულში ამოუწურავია ასეთი სიტყვების შექმნის შესაძლებლობანი.

ამ ტიპის კომპოზიტებს უწოდებენ კუთვნილებითს (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია), ქონებისას (ა. შანიძე) ან მსაზღვრელიანს (ა. კიზირია)². მათ შესახებ ა. კიზირია წერს: „არსებითი სახელის პოსტპოზიციურობისას, როდესაც მას ახლავს ქონების გამომხატველი სუფიქსები (-ა, -ოვან, -ოსან...), მსაზღვრელი ზედსართავი სახელის ფუძის სახით გვევლინება. ეს და დართული აფიქსი თითქოს მსაზღვრელ-საზღვრულს კრავს ერთ მთლიან სიტყვად (ხაზი ჩვენია. — მ. ჭ.). მაგალითად, შდრ. ც ა ლ-ი თ ვ ა ლ-ი და ცალთვალა (//ცალთვალისანი), წ ი თ ე ლ-ი პ ე რ ა ნ გ-ი და წითელბერანგა, შ ა ვ-ი ჩ ო ხ ა და შავჩოხოსანი (//შავჩოხისანი)...“³.

¹ ბიბლიოგრაფია მოცემულია ა. კიზირიას ნაშრომში „კომპოზიტი ახალ ქართულში“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბ., 1931, გვ. 82.

² ასეთ კომპოზიტებს, როგორც ცნობილია, ძველ ინდურ გრამატიკაში ბაჰუვი-ზი (composita possessiva) ეწოდება.

³ ა. კიზირია, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

„კომპოზიტი „მკლავმაგარი“ მსაზღვრელია, მაგრამ არა „მკლავისა“, არამედ ვილაცისა, რომელსაც „მაგარი მკლავის ქონა“ ახასიათებს... მთლიანად კომპოზიტი გვევლინება სხვა სახელის მსაზღვრელად“ (ხაზი ჩვენია. — მ. ჭ.)⁴.

ამ დებულების, აგრეთვე ა. კიზირიას ზემომოყვანილი ხაზგასმული სიტყვების დადასტურებაა მთელი ჩვენი შემდგომი მსჯელობა.

1. დიფერენცირებულად რომ წარმოვადგინოთ ე. წ. კუთვნილებითი კომპოზიტები, მივიღებთ ხუთ ჯგუფს:

1) ზედსართავი სახელის ფუძე + არსებითი სახელის ფუძე + სიტყვაწარმოებითი სუფიქსი (-იანი-, -ოვანი-, -ოსანი-, -ა, -ელ-...): „მოკლესახელოებიანი კაბა“; „მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი“; „მავიდაზე ცისფერაბაჟურისანი ლამპა დვას“ (ჯ. ქარჩხ.); „სამეურნეოანგარიშიანი საწარმო“ („თბილ.“); „ქაროვნამ... ვიეტნამურკჟულიან ღურგალს გააყოლა თვალი“ (რ. მიშვ.). ასევე წარმომავლობის სახელები: ზემო მაჩხაანი — ზემომაჩხანელები; პატარა ცემი — „პატარაცემელი პიონერები“; უცხო პლანეტა — „უცხოპლანეტელის ჩასმა მის წასაყვანად მობრუნებულ ხომალდში“ („ლიტ. საქ.“); ნახესხები მსაზღვრელ-საზღვრულისგან მიღებული: კრივოი როგ-ი (ქალაქი) — „ესტრადის კრივოიროგელი მოყვარულნი“ („თბილ.“).

2) რიცხვითი სახელის ფუძე + არსებითი სახელის ფუძე + სუფიქსი: რვაწახნავიანი, ექვსწახნავიანი, ხუთწახნავიანი... მეოთხეკურსელი, მეხუთეკლასელი...

3) მიმღეობის ფუძე + არსებითი სახელის ფუძე + სუფიქსი: „მჭრელპირიანი (ან ალესილპირიანი, ან მოტეხილტარიანი) დანა“; „წაშლილწარწერიანი ქვა“ („კომ.“) „წაწვეტებულსახურავიანი კოშკები“ (ც. ბიბილ., თარგმ.); „შემინულაივნიანი ოთახი“ („თბილ.“).

4) არსებითი სახელის ფუძე + ნამყო დროის მიმღეობა: „წურგჩანთამოკიდებულნი... მოდიოდნენ მწერლები“ (ი. აბაშ.); „ნათელას მამამთხა მოიყვანა... თვალებდაელმეხული“ (რ. ინანი); „ცხოვრებანანახი კაცი ჩანხარ“ (რ. მიშვ.).

5) არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში (მართული მსაზღვრელი) + არსებითი სახელი + სუფიქსი: „ნაბდისქულიანი კაცი“; „ხისრიკულებიანი აივანი“; „ვერცხლისაბზინდიანი ქამარი“; ოქროსმედალოსანი; „გულ უწყუხს თხისტყავინსა, ერთ ადგულს ველარ დგებოდა“ (ვაჟა); „მოტოციკლისტის მუშარადიანი კაცი“ (რ. მიშვ.); „რუსუდან ფეტვიაშვილის ერთ-ერთ ნახატზე ჩიტისთავიანი ურჩხულია“ (ჯ. ქარჩხ.);

⁴ არნ. ჩიქობავა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 5, 1966, გვ. 21. იხ. აგრეთვე ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ., გვ. 152.

„ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი“; „დავით კვაჭაძის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის პარიზისდროინდელი ნამუშევრები“ („კომ.“); „ბიძაჩემის მოწაფეობისდროინდელი ნახატი“ (ზ. სამაღ., „ლიტ. საქ.“). აგრეთვე წარმომავლობის სახელები: საბჭოთა არმია — „საბჭოთაარმიელები“; აგურის ქარხანა — „აგურისქარხნელთა, კმათის საგანი პროდუქცია“ („საბჭ. ხელოვნ.“); ვერცხლის ქუჩა — „კიდევ რამდენიმე დღე და ვერცხლისქუჩელები კეთილმოწყობილი გზით ივლიან“ („თბილ.“).

კუთვნილებითი კომპოზიციის პირველი ნაწილი ხშირად თავის მხრივ, ორი ან მეტი ფუძისაგან შედგება: სკოლადამთავრებული, საშუალოსკოლადამთავრებული, სრულსაშუალოსკოლადამთავრებული... მაგალითები ლიტერატურიდან:

ჭაუხი, წვერულვაშაყრილი ბიჭები (ნ. ლორთქ.); წითელხავერდ-გადაფარებულ ოთხთვალაზე წამოწვა (ნ. დუმბ.); ყელკისერძოშიშვლებული ქალები... მარაობს პირზე იფარებდნენ (ო. ქილა); იდგა ხელები უკანშემოწყობილი ნაპოლეონი (რ. ინანი); ნისკარტოდნავდავლებული არწივი (რ. ინანი); იოსებ იმედაშვილი ამჯერად უკვე საყვარელნაბად-მოსხმული (რ. ინანი); ჩოხისკალთებაკაპიწებული გლაბუნა უნდილი-ტე (გ. გეგეშ.); სამზადიდან თავი გამოყო ჩითისხალათმოსხმულმა ქალმა (რ. მიშვ.); სასტუმროში თავის მოკრძალებულფასიან ნომერში იწვა ფალია (რ. მიშვ.).

შესიტყვებისაგან მიღებული მსაზღვრელი იწერება ერთ სიტყვად (კომპოზიციად). ამ წესის შესახებ გაკვირით არის ნათქვამი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“. იქ ვკითხულობთ: „ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს... კომპოზიტება: ...**შავტარა, ცისფერთვალეზა, შავთვალა... თავქუდმოგლეჯილი, წვერულვაშაგათობრებული...**“⁵ აგრეთვე ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“: „ხშირია ატრიბუტულ განსაზღვრებად რთული სახელები, რომელნიც არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან... ან სხვადასხვა ტიპის სახელთა შეერთებისაგან არიან წარმომდგარი“⁶... და ავტორს მოჰყავს მაგალითები: **თვალეზაშტერებული; ტუჩებმოკუთმული; „სახეგანაცრებული მონადირე“**... (ვაჟა); „...ორლობეში ჭრელგოჭებიანი ღორები ღრუტუნებდნენ“ (რ. გვეტ.)⁷.

5 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 155.

6 ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ. 160.

7 ეს წესი ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1934 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული კომპოზიტების მართლწერისათვის“ ს. იორდანიშვილი წერს: „...ერთად უნდა დაიწეროს ყველა ორ და სამსაკრებიანი composita possessiva როგორც რთული ზედსართავი და ერთი ცნების გამომხატველი (იხ. ქართული ენის ნორმების დადგენისათვის, ნაკვ. VII, ტფ., 1934, აგრეთვე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ტფ., 1936).“

წესი ნათელია და, როგორც ზემომოყვანილი და ბევრი სხვა მაგალითიდანაც ჩანს, ცალკეული ავტორები იცავენ ამ წესს. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული უამრავი მაგალითი (როგორც პრესიდან, ისე მხატვრული ლიტერატურიდან) იმას მეტყველებს, რომ ამ ხასიათის წესის დარღვევები უფრო მეტია.

მცდარ მაგალითებთან ჩვენ წყაროს, ჩვეულებრივ, არ ვუთითებთ, რადგანაც წესი კი თითქმის არსებობს, მაგრამ მის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ გარკვევით, ყველა ტიპის მაგალითების მოშველიებით, არსად არაფერია ნათქვამი და არსად იგი არ ისწავლება. სწორად, ერთ სიტყვად თუ წერენ, უფრო შეგნებული გააზრებით ან ინტუიციით, და ეს წესი თუ ვისიმე ნაწერში დარღვეულია, წესის უცოდინარობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

რამდენიმე მაგალითი:

„უშნო მუწარადიანი პოლიციელი“; „რესტორანს აქვს ღია ვერანდანი ბარი“; „სამახსოვრო წარწერიანი სურათები“; „რამდენიმე უცნობიანი განტოლება“; „უჩვეულო სათაურიანი რომანი“; „ოქროს ხელებიანი ოსტატი“; „ლიმონის ზეთიანი ნუგა“; „დედაქალაქის ხედებიანი ალბომი“; „წყალქვეშა ფრთებიანი გემი“; „მოკლე წინაფრთხიანი კარტუზი“...

თუმცა ასე, ორად გაყოფილი სიტყვის წაკითხვის დროსაც მკითხველი, ჩვეულებრივ, ხვდება, როგორი კავშირებია წინადადების წევრებს შორის, მაგრამ, წესის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, სხვაგვარად უნდა გავიგოთ ეს კავშირები. ზემომოყვანილ მაგალითებში, რომლებიც იმ სახითაა დაწერილი, როგორც ჩვენ ამოვკრიბეთ, ორ-ორი მსაზღვრელი გამოდის საზღვრულთან. კერძოდ, მსაზღვრელი კომპოზიციის პირველი ნაწილი დამოუკიდებელ მსაზღვრელად გვევლინება (რასაც სულ არ გულისხმობს მისი დამწერი) და გამოდის: „უშნო პოლიციელი“; „ღია ბარი“; „სამახსოვრო სურათები“; „რამდენიმე განტოლება“; „უჩვეულო რომანი“; „ოქროს ოსტატი“; „ლიმონის ნუგა“; „დედაქალაქის ალბომი“; „წყალქვეშა გემი“; „მოკლე კარტუზი“...

სინამდვილეში კი მათ დამწერთ სურთ გვითხრან, რომ პოლიციელს უშნო მუწარადი ხურავს, რომ ბარს აქვს ღია ვერანდა, სურათზე სამახსოვრო წარწერაა გაკეთებული, განტოლება შეიცავს რამდენიმე უცნობს, რომანს აქვს უჩვეულო სათაური, ოსტატს აქვს ოქროს ხელები, ნუგა ლიმონის ზეთით არის დამზადებული, ალბომში დედაქალაქის ხედებია, გემს წყალქვეშა ფრთები აქვს, კარტუზს მოკლე წინაფრთხი აქვს და ა. შ.

საგულისხმოა, რომ ერთსა და იმავე ნაწარმოებში ამ ტიპის სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს სწორად და იქვე მცდარად დაწერილი; მაგ.,

„უჩინმაჩინის ქუდიანი ადამიანი“ და — ცოტა ქვემოთ — „უჩინმაჩინის ქუდიანი ადამიანი“ („თბილ.“).

ანდა, ერთი ავტორის წერილში, რომელმაც უთუოდ გაიარა სათანადო რედაქცია, სავსებით ერთი ტიპის ორი სიტყვა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი (მცდარად და სწორად): „რკინის მოაჯირიანი და ხისჩუქურთმიანი აივნები“ („თბილ.“).

განსაკუთრებით დიდი სიჭრელეა ასეთი კომპოზიტიების დაწერილობაში, როდესაც კუთვნილებითი კომპოზიტის პირველი ნაწილი ორი სიტყვისაგან (ფუძისაგან) შედგება; გვხვდება სამგვარი უმართებულო დაწერილობა:

1) სამივე სიტყვა (ან ფუძე) ცალ-ცალკეა დაწერილი: „კუს ძვლის ჩარჩოიანი სათვალე“; „მკლავზე უისინის ჩანთა ჩამოკიდებული“; „ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქცია“; „თამარ მეფის დროინდელი ოქროს თასები“; „ხის სქელ ლანიანი ფეხსაცმელი“...

2) პირველი სიტყვა (ან ფუძე) ცალკეა, მომდევნო ორი — ერთად: „ფილოლოგიის ფაკულტეტდამთავრებული ქალიშვილები“, „ჩემს წინ შავ ლედერინგადაკრული კარი იღებოდა“; „წარმოსახვის უნარდაკარგული ძმისწული“; „მოთმინების ფიალავსებულები კაცი“; „ხონის მუშ-ფაკდამთავრებულები“; „ოჯახი ოცდაათ კვადრატულმეტრია ბინაში ცხოვრობდა“; „ჭირის ოფლდასხმული შეხტა და, გამოეღვიძა“; „ღელაჩემი, ათას ჭირგამოვლილი...“; „გაუხარდა მთიულურ კილოდაკრული ხმის გაგონება“; „შუბლზე ცხვრის ქუდიამოფხატული“; „ჩიტის ბუდისმაგვარი ქუდი ეხურა“; „ბრილიანტის ბეჭედწამოცმული აგრაფინა“; „საპათიო წოდებამინიჭებული პირი“; „სასიკვდილო კრილობამიყენებული ვეფხვი“...

3) პირველი ორი სიტყვა (ან ფუძე) — ერთად, მესამე — ცალკე: „ცალლოყა გაპარსული კაცი“...

ჩვენს ხელთ არსებული მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ხშირად მეორე სახის დარღვევები გვხვდება (პირველი ფუძე — ცალკე, მომდევნო ორი — ერთად).

და თუ სამი ფუძე კი არა, ოთხი და მეტია (რაც იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს), ასეთებიც ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს. გვაქვს კიდევაც ოთხი ფუძისაგან შედგენილ კუთვნილებით კომპოზიტთა მაგალითები: „ვაგზალში სავარძელზე სხედან ბოზჩაჩემოდნებახლომიწყობილი მგზავრები“ (რ. მიშვ.). მაგრამ, რაკი „მეტისმეტად გრძელი“ სიტყვა გამოდის, ჩვეულებრივ, წერენ ცალ-ცალკე, შემადგენელ ელემენტებად. ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვითაში“ არის ასეთი წინადადება: „ცხენები თრთოდნენ წინა ფეხებ ტალახში წაბჯენილები“. ეს ოთხი სიტყვა ერთი მსაზღვრელია „ცხენებისა“ და ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით დაწერილი უნდა იყოს ერთ სიტყვად: წინა-

ფუნებტალახშიწაბჯენილები⁸, მაგრამ უმჯობესია, თუ ნეიტრალურ მეტყველებაში (და არა მხატვრულ ლიტერატურაში) ასეთ გრძელ კომპოზიტებს საერთოდ თავს ავარილებთ.

2. ხშირად ასეთი კომპოზიტი გვხვდება -ზე ან -ში თანდებულის მქონე სახელთან: „ხანჯალზე ხელდადებული“, „ჭიბეებში ხელგაწყობილი“, „სახეზე ხელგაფარებული“, „ბალიშში თავჩარგული“, „მხარზე ცულგადებული“, „პირში ჩალაგამოვლებული“, „ხინდისზე ხელადებული“...

ეს მაგალითები ეჭვს არ იწვევს, რომ ყველა ანალოგიური ერთეული ორ-ორ სიტყვად უნდა დაიწეროს (ბევრი მათგანი ორთოგრაფიულ ლექსიკონშია შესული). ძირითადად ასეც გვაქვს ლიტერატურაში:

ფროსინე პირზე თავსაფარჩამოფარებული მატარებელს ანიშნებს გზის ავტარებლობას (დ. კლდ.); კიბეზე ფეხზემოდგმულმა პანირისი ამოიღო (ვ. ჩხიკე.); ეს ვინ მოგიყვანია, დაბღურები, მუხლებში ძალაგამოღეულები (ვ. ჩხიკე.); ყოველ ნაბაჯზე შეხვედნობლით თავზე თაბახდადგმულ კინტოებს (ე. უბილა.); მირიანი დილით იღლიაში ჩანთაამოჩრადი მოდიოდა სკოლაში (ჯ. ქარჩხ.); საღ არ ნახავდით მას (=ხაქარია ჭიჭინაძეს) იღლიაში ეურნალგაზეთებამოჩრადილს (ა. ბაქრა.); მკერდზე ბავშვებისუტებული ქალები კოსმებოდან ცვიოდნენ (რ. ინანი.); ჯოხზე გამხმარებლებჩამოწყობილი ბებერი როსტომი ზის (რ. ინანი.); ბაია... მიეყუდება კედელს და არის... ასე, კედელზე გაშლილხელეებშიწყობილი (რ. ინანი.); შუბლზე ჯიუტქოჩოჩამოშლილი ახალგაზრდა (რ. ინანი.); ჟილეტის ჯიბეში ცალხელჩაყოფილი (რ. ბეიშვი.); თავსადაწელზე შალმოხვეული ქალი (გ. ბუთხ.).

თუმცა გვხვდება ერთად დაწერის შემთხვევებიც:

ქალიშვილმა უცებ მიაბრუნა თავი ფანჯრისაკენ ტუჩებზედღიმიღმერჩენილმა (რ. ინანი.); ხუთი ჯიბეშიხელეებჩაწყობილი მამაკაცი იდგა (რ. მიშვი.); გამოცხადდა პირზეოფლგადამდინარე მომღერალი (რ. მიშვი.).

3. ქართულში ჩვეულებრივია -ის-ეულ სუფიქსების მქონე ზედსართავი სახელები: „მამისეული ჩიბუხი“, „სოსელიასეული საბლი“, „ივანესეული ძროხა“, „ნათესაობითისბრუნვისნიშნისეული ელემენტი“ და მისთანები.

ამ ტიპის ზედსართავი ყველაზე ხშირად მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელის გვარისაგან გვაქვს მიღებული: მაჩაბლისეული (უორ-

⁸ სხვათა შორის, ეს მაგალითი მოიყვანა და ეს აზრი გამოთქვა ა. შანიძემ 50-იან წლებში ვნათომეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც მსჯელობა იყო კუთვნილებითი ზედსართავების შესახებ.

დროისეული, ზაბოლოცისეული... თარგმანი. ზოგჯერ ასეთ ზედსართავს წინ უძღვის იმ პირის სახელი, რომლის გვარიდანაც არის მიღებული იგი: **ივანე მაჩაბლისეული** (ან: **მარჯორი უორდროისეული...**) თარგმანი. **-ის-ეულ-** სუფიქსები საკუთარ სახელს (სახელსა და გვარს) აქცევს კუთვნილებით ზედსართავად (**ივანე სახელია მაჩაბლისა და არა ზედსართავ „მაჩაბლისეულისა“**).

იმ წესის მიხედვით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ასეთი ორი სიტყვისაგან შემდგარი მსაზღვრელი უნდა დაგვეწერა, ვთქვათ, ასე: **ივანემაჩაბლისეული, მარჯორიუორდროისეული... თარგმანი**. მაგრამ ასე წერა, რასაც ტრადიცია არა აქვს, შეუჩვევლობის გამო ძნელია, ამიტომ ჯობს უარი ვთქვათ საერთოდ მთარგმნელის სახელის მოხსენიებაზე ან **-ეულ** სუფიქსის გამოყენებაზე. მაშასადამე, მართებული იქნება: **„მაჩაბლისეული, უორდროისეული... თარგმანი, ანდა ივანე მაჩაბლის, მარჯორი უორდროის... თარგმანი**.

გვხვდება უფრო რთული შემთხვევებიც. მაგ., „წავიკითხე მოთხრობის ე. ანანიაშვილისეული თარგმანი. აქ „ე.“ არის სახელ **ელიზბარის** შემოკლება და აღარ გამოადგება ზედსართავ „ანანიაშვილისეულ“-ს. ამიტომ სახელის ასე, შემოკლებით დაწერა ამ კონტექსტში მიზანშეუწონელი ჩანს.

ანდა მეორე: „შევიცაში, უფსალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია **ალექსანდრე არჩილის ძისეული ანაბეჭდები**“. აქაც უმჯობესია დაგვეწერათ „**ალექსანდრე არჩილის ძის ანაბეჭდები**“, ან „**არჩილის ძის — ალექსანდრეს ანაბეჭდები**“, ანდა — „**ალექსანდრესეული ანაბეჭდები**“.

4. რაც ითქვა **-ის-ეულ** სუფიქსების ფუნქციაზე და ამასთან დაკავშირებულ მართლწერის წესზე, იგივე უნდა ითქვას, როდესაც ზედსართავის მეორე მაწარმოებელი **-ოსან-** გვაქვს.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ამგვარი დაწერილობა:

ტყავი — ტყაოსანი, ვეფხის ტყავი — ვეფხისტყაოსანი;

მედალი — მედალოსანი, ოქროს მედალი — ოქროსმედალოსანი;

თანრიგი — თანრიგოსანი, პირველი თანრიგი — პირველთანრიგოსანი და ა. შ.

ფართოდ გავრცელებული სიტყვაა **ორდენოსანი** (ცალკე აღებული) და ეგვევ სიტყვა ამა თუ იმ ორდენის დასახელებასთან ერთად; დამკვიდრდა ასეთი სიტყვათშეხამებანი: **ლენინის ორდენოსანი, საპატიონიშინის ორდენოსანი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი** და სხვ.

თუ დავუკვირდებით, აქაც იგივე ვითარებაა: თუ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვინმე ან რამე ამა თუ იმ ორდენით არის დაჯილდოებული, საერთო წესის მიხედვით ერთად უნდა იწერებოდეს: **ლენინისორდე-**

ნოსანი, საპატიონიშნისორდენოსანი და მისთ. მაგრამ, ვინაიდან ეს მოუხერხებელია — განსაკუთრებით მაშინ, როცა ორდენის სახელი ორზე მეტი სიტყვისაგან შედგება, შეილება გამონაკლისის დაშვება, ამასთანავე, რეკომენდებულია სხვა კონსტრუქციებიც: **ლენინის ორდენის კავალერი, საპატიო ნიშნის ორდენის მქონე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებული** და მისთ. (ადრე უფრო მოკლედაც იწერებოდა: **ლენინის ორდენის** რუსთაველის სახელობის თეატრი. შტრ. რუს.: **ордена Ленина театр им. Руставели...**).

5. როგორც ცნობილია, თუ ამ ტიპის კომპოზიციის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია და იგი ციფრით (ციფრებით) არის წარმოდგენილი, ციფრსა და მეორე ნაწილს შორის იწერება დეფისი: **800-ადგილიანი** კინოთეატრი, **9-სართულიანი** სახლი, **500-გვერდიანი** წიგნი და ა. შ.⁹

მაგრამ ამ წესს ხშირად არ იცავენ და წერენ უდეფისოდ, ცალცალკე: „პატარა, **64 გვერდიანი** ჟურნალი“; „მიწისძვრის... **12 ბაღიანი** სკალა“; „ავტომობილის ქამრები გადარჩენის **100 პროცენტთან** გარანტიის იძლევა“; „კურორტ ლაშიქალას ექნება **30 აბაჯანიანი** შენობა“; „ესპანეთის **30 გრადუსიანი** სიცხე... ადვილი ასატანია“, „მთავრდება **78 ინდექსიანი** ავტომატური სატელეფონო სადგურის დამონტაჟება“; „**800 ათასიანი** ომის საწინააღმდეგო მანიფესტაცია“...

ბოლო მაგალითი საკდესის ცნობიდანაა მოყვანილი, რომლის რუსულ დედანშია **800-тысячная манифестация...** („Правда“). რუსულში უხეშ ორთოგრაფიულ შეცდომად გამოჩნდებოდა უდეფისოდ დაწერილი **800 ты́сячная**, ქართულში კი როგორღაც შევეჩვიეთ და არაფრად მიგვაჩნია, ეს ერთი „პატარა“ დეფისი იქნება თუ არა.

როგორც ზემომოყვანილ მაგალითებში გვქონდა, აქაც „64“-სა და „გვერდიანს“ ან „12“-სა და „ბაღიანს“ და მისთანებს გუნებაში ვაერთებთ, თორემ, ისე რომ წავიკითხოთ, როგორც წერია, გამოვა სულ სხვა რამე. სახელდობრ: „სამოცდაათხი... ჟურნალი“, თორმეტი... სკალა“, „ის... გარანტიის იძლევა“, „ოცდაათი... შენობა“, „ოცდაათი... სიცხე“, „სამოცდათერთმეტი... სადგური“...

6. ამ კონტექსტში მეორე საკითხი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, იქცევა ყურადღებას. რუსულ ორთოგრაფიაში ურყევი წესია (გერმანულიდან მომდინარე): როდესაც ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი

⁹ ასევე დეფისით უნდა ვწერთ ისეთი კუთვნილებითი ზედსართავი სახელი, რომლის პირველი ნაწილია თანდებული, ნაწილაკი, კავშირი და მისთ.: „-გან-თანდებულიანი ბრუნვა“; „-ზე- ან -ში-თანდებულიანი ადგილის გარემოება“; „-ა-ნაწილაკიანი ან -იან-სუფიქსიანი ზედსართავი“; „-თა-მრავლობითისნიშნისანი ბრუნვები“ და ა. შ.

კუთვნილებითი ზედსართავი ან, საერთოდ, კომპოზიტები, ი ან ილი კავშირით (ან უკავშიროდ) შეერთებული, სრულად იწერება ბოლო მათგანი, ხოლო წინა კომპოზიტებიდან მოყვანილია მათი პირველი ნაწილები; მათ ბოლოში უხით დეფისი ნიშნად იმისა, რომ სიტყვა შემოკლებულია (გამოტოვებულია მეორე ნაწილი); მაგ. „Проходят двух-, четырех- или десятимесячную стажировку“ (Правда“), იმის ნაცვლად, რომ თქმულიყო: „Проходят двухмесячную, четырехмесячную или десятимесячную стажировку“, ასევე: „Теле- и радиопередачи“; „картофеле- и овощехранилища“ („Известия“); „В кувшине оказались десяти- и пятирублевки“ („Известия“); „Формы смерчей разнообразны: хобото-, колоно-, змее-, биче-, веревко- и воронкообразные (Л. Прох., Словарь ветров; Л., 1983); „Удвительная непримиримость собаки была в ее ненависти ко всяческим авто-, вело-, мото-, тепло-, электротарарайкам“, (Г. Головин, Джек, Братишка и другие; უტრბ. „Москва“, № 6, 1986).

ეს წესი რომ ახლად შემოსული არ არის რუსულში, კვინდა მოვიყვანოთ ადგილი ვლ. მიიაკოვსკის ერთ-ერთი საბავშვო ლექსიდან: „Как живые в нашей книжке слон, слониха и слонишки, двух- и трехэтажный рост...“

ასევეა, როდესაც კომპოზიტის პირველი ნაწილი ციფრებითაა წარმოდგენილი: „Дети 4-х- и 6-летнего возраста“ („Литературная газета“). (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ჭ.).

ეს წესი ქართულშიც მოქმედებს: „რადიო- და ტელეგადაცემები“; „დადებით- ან უარყოფითნიშნისანი რიცხვები“, „ცხრა- და თექვსმეტ-სართულიანი სახლები“...

ამის თაობაზე ა. შანიძე წერს: „ისიც შეიძლება, რომ შერწყმული ქონების სახელის ნაწილები კავშირით ან ზმნიზედით იყოს ერთმანეთისაგან დამორებული: „ახალუხ- და შალგარ-ჩაცემული“ (ჭავჭავ.)-მტკაველი — ცერ- და ნეკავშლილი (ს. ორბ.) და სხვ.¹⁰.

აი, რამდენიმე მაგალითი, სადაც ავტორები ამ წესს ამკვიდრებენ ქართულში:

შეიძლება შეიკუმშოს როგორც ერთ-მარცვლიანი, ისე ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეც (ა. შანი); ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში მხვილი დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოდის (არნ. ჩიქობ.); ასეთი კომპოზიტები ორ- და მეტცნებიანია (ვ. თოფურ.).

¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 160; ავტორი, მოყვანილ მაგალითებში თვითონ სვამს საჭირო დეფისს, თორემ არც ილიას და არც საბას, რა თქმა უნდა, იგი არა აქვთ.

სხვა მაგალიტები:

ა ლ ფ ა-, ბ ე ტ ა- და გა მ ა გა მ ო ს ხ ი ე ვ ბ ა (მე-10 კლასის ფაზიკის სახელმძღვანელო; თარგმანი რუსულიდან); კ ი ნ ო- და ვ ი დ ე ო ფ ი ლ მ ე ბ ი ს დ ა მ ზ ა- დ ე ბ ა („კომ.“; თარგმ. რუსულიდან); **სამამულე რქა** — ვაზის გასხვლისას სამერჩისოდ დატოვებული ორ- ან სამკვირტიანი რქა (ქეგლ.); **მ ა კ რ ო-** და **მ ი კ რ ო- ტ ო პ ო ნ ი მ ე ბ ი...** (მ. აფრიდ.); თბილისში ზოგიერთი ქუჩა ქრებოდა, სამაგა-ეროდ ჩნდებოდა ახალი სახელ- და სახე შეცვლილი ქუჩები (ო. ტყე-შელ.).

სისტემებრ ეს წესი გატარებულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპე-დიაში. იქ, მაგალითად, **პლასტიკატ-**ის განმარტებაში ვკითხულობთ: „...ახასიათებს **ატმოსფერო-**, **ბენზო-**, **ზეთ-** და **ცეცხლგამძლეობა**“; „**ქარვასლა** — შენდებოდა **ორ-**, **სამ-** და **ოთხსართულიანი** ქარვას-ლები“.

მაგრამ მაინც ამ წესს ქართულში მხოლოდ ცალკეული ავტორები თუ იცავენ.

იშვიათი გამონაკლისის მაგალითი პრესიდან, როდესაც ამ შემთხვე-ვაში ღეფისი სწორად, თავისი დანიშნულებისამებრ არის დსმული:

ფეხბურთის გულშემატიკიარი უამრავ ისეთ შემთხვევას გახსენებს, როცა ერთ გუნდს... შეტოქის ორ- და სამგოლიანი უპირატესობა გაუბათილებია (დ. კა-კაბ., „ლელო“).

ჩვეულებრივ კი ასეთ შემთხვევაში ღეფისის ხმარება სავალდებუ-ლოდ არ მიაჩნიათ; ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა (როგორც პრესიდან, ისე მხატვრული ლიტერატურიდან). მაგრამ რამდენიმეტი დაგვიმაყოფილდებით: „ერთ და ორსართულიანი (ანდა ცხრა და თექვსმეტსართულიანი) სახლები“; „თბო და ელექტრო-ენერჯის დაზოგვა“; „ფოტო და კინომოყვარულთა საყურადღებოდ“; „ტელე და ფოტოკამერები“; „სასტუმროს აქვს ორ და ერთადგილიანი ნომრები“; „თვალბში ღიმილ და სითბოჩამდგარი“; „სინანულ და ნა-დველშეპარული ხმით მითხრა“; „ტირილისაგან თვალბ და თავგასა-ებული“.

მოყვანილ მაგალიტებში სრულიად აუხსენელია, თუ წინადადების რა წევრია ერთ, ცხრა, თბო, ფოტო, ტელე, ღიმილ, სინანულ და მის-თანები. ჩვენ შევეჩვიეთ ასე დაწერილს და, ეტყობა, გამოგვიმუშავდა შეგუების უნარი, რაც საშუალებას გვაძლევს სწორად წავიკითხოთ მცდარად დაწერილი.

უფრო მეტიც: ხშირად ასეთ შემთხვევაში მეორე სიტყვაც გაყოფი-ლია: „ერთ და ორ ადგილიანი ნომრები“; „რაღიო და ელექტრო სის-ტემები“; „შარვალ და სამოს შემოგლეჯილი“; „...თვალბ და გონება დაბინდული“.

ბოლოს და ბოლოს, როგორც ზემოთაც ითქვა, მკითხველი კი ხვდება, რის თქმაც სურს ავტორს, მაგრამ მიხვედრაზე არ უნდა იყოს მიგდებული საქმე. ენას, მის სინტაქსს, მის ორთოგრაფიას თავისი წესები აქვს და ეს წესები ყველგან და ყოველთვის დაცული უნდა იყოს.

კომპოზიციის ცალკე აღებულ ბირველ ნაწილთან დეფისის დასმის პრაქტიკა რომ თითქმის სულ არა გვაქვს, ეს ხშირად სხვა შეცდომებსაც იწვევს. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში (და სხვა გამოცემებშიც) იმდენად უჩვეულო რადმე ითვლება დეფისის ამ დანიშნულებით სმარება, რომ ასეთი მოვლენაც კი შეიმჩნევა: თუ ავტორმა სწორად დასვა იგი, აწყობისას ხშირად დეფისიან სიტყვას აერთებენ მომდევნო „და“-სთან („ან“-თან), რადგანაც, კორექტორებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეტყობა, რედაქტორებიც დედნის შეცდომად მიიჩნევენ (აქაოდა, წინა სიტყვას მოსდევს დეფისი, რომელიც საერთოდ ორ სიტყვას შორის იწერება და აქ კი მისი მეორე, მარჯვენა მხარე თავისუფალია!). ამის მაგალითებიც საქმოდ გვაქვს:

„მხატვრული კინო-და ტელეფილმები“ („კომ.“); რადიო-და ელექტროსისტემები“ („კომ.“); „წყალ-და ენერგომომარაგება“ (სსრკ ეკონომიკური გეოგრაფია, VIII კლასის სახელმძღვანელო). ამ უკანასკნელის რუსულ დედანშია „водо- и энергоснабжение“; „ეს წარმოქმნის დამატებით მგზავრ-და ტვირთნაკადს რკინიგზაზე“¹¹. „რკინიგზის ახალი ხაზების გაყვანა ამიერ-და იმიერკავკასიას შორის“¹². ერთ-ერთ ჟურნალში ვკითხულობთ: „დაუეიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის [ანა კალანდაქესთან] 12-და 11-მარცვლიან სტრიქონთა მონაცვლეობა“. ეჭვი არ არის, დედანში იქნებოდა: 12- და 11-მარცვლიანი“ და რედაქციაში დედნის გავლისას რომელიღაც ეტაპზე „და“ მიუერთეს „12“-ს და გამოვიდა ლაფსუსი.

ერთ-ერთი ოფიციალური წერილის თარგმანში ამ ნიადაგზე ერთდროულად ორი შეცდომაა გაპარული. რუსულშია: В высших партийных школах расширяется обучение слушателей на двух-, трех- и четырехгодичных отделениях („Правда“ და სხვა რუსული გაზეთები, მათ შორის, თბილისში გამოშვებილი, — 28.VI.86). „კომუნისტა“ და „თბილისში“ ამ წინადადების თარგმანმა ასეთი სახე მიიღო: „უმადლეს პარტიულ სკოლებში ფართოვდება ორ-სამ და ოთხწლიან განყოფილებებზე სწავლება“. მთარგმნელის მიერ ორ-თან დასმულმა

11 ლ. ვარდოსანიძე, რ. კვერენჩილაძე, „ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პრობლემა“, თბ., 1976, გვ. 4.

12 ლ. ვარდოსანიძე, რ. კვერენჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

დეფისმა „მიიზიდა“ სამ ფუძე და ამ უკანასკნელს დეფისი საერთოდ მოსცილდა.

შორს რომ არ წავიდეთ, ერთ-ერთ ჩვენს საგაზეთო წერილში გვექონდა სინტაგმა: „რადიო- და ტელერეპორტაჟები“, გაზეთში დაიბეჭდა „რადიო და ტელერეპორტაჟები“ (დეფისი არაფრად იქნა მიჩნეული).

დედანიში ამ დანიშნულებით დასმული დეფისი წმირად იმდენად გაუგებარი ჩანს რედაქციებში ტექსტზე მომუშავეთათვის, რომ ზოგჯერ დეფისის ნაცვლად ტირესაც კი ვნახავთ უკვე გამოსულ გაზეთში: ერთ — და ორადგილიანი ოთახები („კომ.“).

ამგვარი ლაფსუსის კიდევ ერთ, სრულიად შეუწყნარებელ სახეობას წააწყდით. ვაზ. „პრავდის“ ტექსტის „**электро-, теле-, радиоаппаратура**“ (28.V.86) ქართულ თარგმანში ასე გამოიყურება: „**ელექტრო, — ტელე, — რადიოაპარატურა**“ (!!) („კომ.“, 28.V.86)¹³.

უკვე დროა გამომცემლობებმა, ყურნალ-გაზეთების რედაქციებმა საგანგებო ყურადღება მიაქციონ ამ აუცილებელ წესს. იქნებ საჭირო იყოს რედაქტორებისათვის, ლიტმუშაყვებისა და კორექტორებისათვის მოეწყოს სემინარები, რომლებზედაც მართლწერას სხვა მტკიცენულ საკითხებთან ერთად სპეციალისტები კუთვნილებითი კომპოზიტების დაწერილობაზედაც გაამახვილებენ ყურადღებას. გულსატკეპია, რომ ასეთ მარტივ წესს (რომელსაც რუსულში ყოველთვის იცავენ), ქართულში, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფრითაა ყურადღება არ ექცევა. ეს საკითხიც ზემოთ დასმულ სხვა საკითხებთან ერთად დროულად მოგვარებას მოითხოვს. იგი ორთოგრაფიის, მამასადამე, წერის კულტურის საკითხია.

დასკვნა:

1. კუთვნილებითი ზედსართავი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენა ფუძისაგან შედგება იგი, უნდა იწერებოდეს ერთად: **სკოლადამთავრებულში, საშუალოსკოლადამთავრებულში, სრულსაშუალოსკოლადამთავრებულში... სამოცდაათათასადგილიანი (სტადიონი), სამასხოვროწარწერიანი (სურათი), დალიანდაგებულქუთუყიანი (ქალი), კუსსველისჩარჩოიანი (სათვალე)...**

2. თუ კუთვნილებითი კომპოზიტს წინ უძღვის -ზე ან -ში თანდებულის მქონე ადგილის გარემოება, უნდა ვწერთ ორ სიტყვა: **ჭიბებში ხელებჩაწყობილი, ბალიში თაგჩარგული, სინდისზე ხელადებული, მუხლებში ძალაგამოღებული, იღლიაში ჩანთაამირილი, თავსა და წელზე შალმობვეული, ტუჩებზე დიმილშერჩენილი, პირში ჩალაგამოვლებული...**

¹³ მე-6 მუხლში მოყვანილ მაგალითებში ხაზგასმა ყველგან ჩვენია (მ. ჭ.).

3. თუ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ადამიანის გვარია და იგი - ეხლ სუფიქსითაა გავორძეებული, წესის მიხედვით ასე უნდა დაგვეწერა: ივანემაჩაბლისეული, მარჯორიუორდროპისეული და სხვ., რაც მოუხერხებელია. ამიტომ უმჯობესია, თუ მსაზღვრელს ვინმართ დასახელებული პირის (მთარგმნელის, გამომცემლის...) სახელის გარეშე: მაჩაბლისეული, უორდროპისეული... ანდა, თუ სახელიც გვინდა ვახსენოთ და სახელისა და გვარის შეერთება გვიჭირს, მაშინ დაბოლოება - ეულ-ზე უარი უნდა ვთქვათ და მის ნაცვლად ასე ვწეროთ: ივანე მაჩაბლის თარგმანი, მარჯორი უორდროპის თარგმანი... ასეთ შემთხვევაში სახელის შემოკლებით დაწერა შესაძლებელი იქნება: ი. მაჩაბლის, მ. უორდროპის... თარგმანი.

4. ისევე, როგორც ერთად იწერება „გეფხისტყაოსანი“, ოქროსმედალოსანი, პირველთანრიგოსანი და მისთ., წესისამებრ ერთადვე უნდა იწერებოდეს: ლენინისორდენოსანი, ოქტომბრისრევოლუციისორდენოსანი და სხვ., მაგრამ სათანადო ტრადიციის უქონლობის გამო ამგვარ შემთხვევებში დასაშვებია გამონაკლისის სახით კომპონენტების ცალკე წერა ან მათი შენაცვლება ასეთი კონსტრუქციებით: საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებული, შრომის დიდების პირველი (მეორე, მესამე) ხარისხის ორდენის მქონე...

5. როდესაც კუთვნილებითი კომპოზიციის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, რომელიც ციფრით (ციფრებით), არაქართული ასოსიმბოლოთი არის წარმოდგენილი, მომდევნო ნაწარმოებ სახელს იგი დეფისით დაუკავშირდება: 800-ადგილიანი კინოთეატრი, 75-ბინიანი სახლი, 100-პროცენტიანი გარანტია, 30-გრაფულიანი სიციხე, 1-კუთხიანი, X-უცნობიანი... ასევე: -გან-თანდებულისანი ბრუნვა, შე-ზმნისწინიანი ზმნები და ა. შ.

6. როდესაც ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი ისეთი კომპოზიტი, რომელთა ბოლო შემადგენელი ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა და სიმოკლისათვის იგი მხოლოდ ერთხელ მოჰყავთ, პირველ ნაწილს (ნაწილებს) უნდა ახლდეს დეფისი და გვექნება: რადიო- და ტელეგადაცემები, ცხრა- და თექვსმეტსართულიანი (ანდა 9- და 16-სართულიანი) სახლები, თბო- და ელექტროენერჯია, ფოტო- და ტელეგადაღებები, ორ- და ერთადგილიანი ნომრები, თვალე- და გონებადაბინდული...